საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მეგობრობისა და ძმობის ჰიმნი

16 დეკემბერს საქართველოს დელეგაციის წევრებს მეტად გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა მაღალი შეფასება მისცა ქვეყნის მთავარ გამოფენაზე მიმდინარე მოძმე რესპუბლიკების მიღწევათა წინასაიუბილეო დათვალიერებას.

საქართველოს სსრ დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ მადლობა გადაუხადა ამხ. ვ. ვ. გრიშინს გულითადი მიღებისათვის და იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენენ მოსკოველები საქართველოს წარგზავნილების მიმართ.

• • •

ქვეყნის მთავარი გამოფენის კონფერენც-დარბაზში მოეწყო საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სსრ დელეგაციის წევრები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მოსკოველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ საბჭოეთის თანასწორუფლებიანთა მძლავრი კავშირის ერთობის დღესასწაული აღენიშნათ.

იმავე დღეს საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოს მოსკოვის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელებს.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი მთელი მოსკოველების სახელით გულთბილად მიესალმა საქართველოს წარგზავნილებს და მათი სახით მთელი რესპუბლიკის მშრომელებს.

ელვის სისწრაფით გავრცელდა სსრკ სახალხო მიღწევათა გამოფენაზე გაზეთ „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური გამოშვება, რომელიც ქვეყნის მთავარ გამოფენაზე მიმდინარე საქართველოს დღეებს მიეძღვნა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 242
(7303)

19
1982 წ.
დეკემბერი,
კვირა.
ფასი 5 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

სპორტული უკრაინის სილუეტი

ვ. დოროხოვი,

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგე.

ჩვენს სპორტს არასდროს ჰქონია ასეთი დიდი მასშტაბის ამოცანა: მილიონობით მოყვარული აქტიურ ფიზკულტურელად აქციოს.

უკრაინაში შექმნილია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც ერთდროულად 11 მილიონ ადამიანს შეუძლია ვარჯიში.

მშრომელთა და ახალგაზრდობის სამსახურშია 900 სტადიონი, 14 ათასზე მეტი სპორტდარბაზი, 300-მდე საცურაო აუზი, 26 მძლეოსნური მანეჟი, 6 სპორტის სასახლე, ათასობით სხვა სპორტული ნაგებობა, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

უკრაინაში ამჟამად 57 ათასი ფიზკულტურის ორგანიზატორი, მწვრთნელი, მასწავლებელი და ინსტრუქტორი მუშაობს, რომელთა უმრავლესობას სპეციალური განათლება აქვს მიღებული. მათ მხარს უმშვენებს ფიზკულტურული აქტივის დიდი არმია.

რესპუბლიკის 45 ათას ფიზკულტურულ კოლექტივში სისტემატურად იკაჟებს ჯანმრთელობას 16 მილიონზე მეტი კაცი.

შარშან რესპუბლიკაში მომზადდა 6 მილიონი მშთ ნიშნოსანი, 1700 სპორტის ოსტატი და 300-მდე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. 33-მა უკრაინელმა ათლეტმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს მედალი, ამდენივე ევროპის ჩემპიონატებისა, 184 სპორტსმენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. სპორტულ სიმაღლეებზე მიტანილი იერიში წლეულსაც არ შენელებულა. ჩვენი სპორტის მარჯვენაფლანგელებს შორის არიან: მძლეოსანი იური სედიხი, მოკრივე ალექსანდრე იაგუბკინი, ძალოსანი ანატოლი პისარენკო, ტანმოვარჯიშე ბოგდან მაკუცი, მოცურავე სერგეი ფესენკო და სხვები.

სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება მასობრივი ღონისძიებები. ტრადიციად იქცა შეჯიბრებები — „ჯანმრთელობის დღეები“, „მშთ-ს კვირეული“, „მოცურავის დღე“, მასობრივი მძლეოსნური გარბენები, „მთელი ოჯახით სტადიონზე“, შეჯიბრებები შრომითი ბრიგადებს შორის.

იზრდება, ფართოვდება ფიზკულტურული მოძრაობა უკრაინაში, მის გვერდით, ერთიან ოჯახში, მიაბიჯებენ მოძმე რესპუბლიკების ჭაბუკები და ქალიშვილები.

◆

(იხ. მე-2 გვ.).

ვინ გახდება ფალავანთა ფალავანი?

თბილისელი მაყურებელი, სპორტის გულშემატკივარი ყოველთვის განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება დედაქალაქში გამართულ ამა თუ იმ სპორტულ პაექრობას, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული ჭიდაობის მიმართ მაინც გამორჩეულ სიყვარულს იჩენს. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან სწორედ ამ სახეობაში ჩანს ქართველი კაცის ეროვნული სული — ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, სიმამაცე, სიჩაუქე...

თბილისის სპორტის სასახლეს არაერთხელ უმასპინძლია ქართველი ფალავნებისთვის. სასახლე კიდევ ერთხელ გაუღებს კარს საქართველოს აბსოლუტური პირველობის მონაწილეებს, რომელთა შორის გათამაშდება სახელოვანი ქართველი მოჭიდავეების: სანდრო კანდელაკის, დავით ხიზამბარელის, იაკობ ეგნატაშვილის, კულა გლდანელის, ნესტორ ესებუას, კოსტა მაისურაძის, შაშო ვერულის, არსენ მეკოკიშვილის, ზაქარია ბაკურაძის და ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზები.

გუშინ რედაქციაში გვესტუმრა თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გიორგი შიოშვილი**, რომელიც გვესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება სპორტის სასახლე ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას:

სპორტის სასახლის დირექციას თავის საპატიო მოვალეობად მიაჩნია ის, რომ ყოველი სპორტული თუ მხატვრული ღონისძიება დღესასწაულად აქციოს. ამ მიზანს ემსახურებოდა ჩვენი ახლანდელი სამზადისიც. სასახლის ინტერიერი, სპორტული არენა, მოსაცდელები, პრესის მუშაკთა ლოჟა სრულ მზადყოფნაშია სპორტსმენთა და მათ გულშემატკივართა მისაღებად.

მიმდინარე სეზონი ერთობ ხვავრიელი აღმოჩნდა ჩვენი სასახლისთვის. ჯერ იყო და, კალათბურთის უამრავმა გულშემატკივარმა თბილისის ტურის მონაწილე გუნდების არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა იხილა, მერე სასახლე სპორტულ ტანმოვარჯიშეებსა და მის ათასობით თაყვანისმცემელს დაეთმო, ამას მოჰყვა საერთაშორისო პირველობები ხელბურთსა და კრივში, სულ ცოტა ხნის წინ კი სპორტის ულამაზესი სახეობის — მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულები მშვენიერების, გრაციის, სინატიფის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

დღეს თბილისის სპორტის სასახლე გულთბილად გაუღებს კარს ქართული ჭიდაობის მოყვარულთა დიდ არმიას. პირველობაში იასპარეზებენ კასპელი, ხაშურელი, ახმეტელი, მცხეთელი, გორელი, თელაველი, საგარეჯოელი და თბილისელი უძლიერესი მოჭიდავეები.

მაყურებელს რომ სრულად ეგრძნო ქართული ჭიდაობის მთელი სილამაზე და არომატი, ცხადია სასახლის დეკორაციაზეც უნდა გვეფიქრა. ჭიდაობის სანახავად მოსული მაყურებელი გაიხსენებს ქართული სოფლის კოლორიტს, ეგზოტიკას, მხატვრულად გაფორმებული ზვიადი სვანური კოშკების საუფლოდან გონების თვალით გადავა ქართლ-კახეთის გაშლილ ველებზე, სადაც გამოფენილი იქნება ჩვენი გლეხკაცის მარჯვენით მოყვანილი, ჭირნახული. ურემი, გოდორი, ფაცხა, კევრი, ქვევრი — ქართული სოფლის ეს განუყრელი ატრიბუტები სასახლეში მოსულ მაყურებელს წუთით დაავიწყებს ხმაურიან ქუჩებს, ქალაქის აჩქარებულ მაჯისცემას, იგი წარმოიდგენს, რომ ეს ფალავნები სპორტის სასახლეში კი არა, სოფელში, ხის ჩრდილში ხელდახელოდ შეკრულ წრეში ჭიდაობენ. ამ თეატრალიზებულ-სპორტულ სანახაობას დაამშვენებს ხალხური ლხინი და შაირობა. აქ გამოვლენ მომღერალ ბიჭუნათა ანსამბლი „მართვე“, ანსამბლები ახმეტიდან, წითელწყაროდან, საგარეჯოდან. გამარჯვებულისათვის კასპის რაიონმა სპეციალური პრიზიც კი დააწესა.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: ამგვარი ღონისძიების მოწყობას უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენს მოზარდებზე. მომავალი ფალავნები ხომ მათ შორის უნდა ვეძებოთ. ამიტომ, დღეს 2000 ნორჩი გულშემატკივარი უბილეთოდ დაესწრება ასპარეზობას.

ვფიქრობთ, ჩვენი პირველობა საინტერესოდ ჩაივლის, რაშიც დიდია რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის შოთა ქელიაშვილის და ჭიდაობის სამმართველოს უფროსის გივი ცქიტიშვილის წვლილი.

ტრადიციისამებრ მოპოვებულ წარმატებებს წლის ბოლოს ვაჯამებთ ხოლმე. ჩემი (და ვფიქრობ, არა მარტო ჩემი) სურვილი იქნება, ქართული სპორტის წარმატებები ქართული ჭიდაობის ფონზე აითვალოს, რადგან, ყველა ქართული სახეობა ამ ძირძველ და ლიბოგამძლე სახეობაზეა დამყნილი და მის მტკიცე ფუძეს და ბალავარს წარმოადგენს.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ჯოხარიძემ.

გეპატიჟებით
თბილისის
სპორტის
სასახლეში

● ძალოსნობა

„იზმაილოვოს“ ფიცარნაგზე

●

ამირან პიტაძის „ბრინჯაო“

●

მოსკოვის „იზმაილოვოს“ უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დღეს მთავრდება სსრ კავშირის თასისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ბრძოლა.

მანამდე კი კიდევ სამი წონითი კატეგორიის ათლეტებმა „დაამთავრეს დავა“.

75 წონითი კატეგორიის ძალოსნებში გამოდიოდა ქართველი სპორტსმენი ა. პიტაძე. მან კარგად იასპარეზა აკვრაში და ბრინჯაოს მცირე მედალი მოიპოვა — 195 კგ. ამ ვარჯიშში ოქროს მცირე მედალს დაეუფლა რსფსრ-ს წარმომადგენელი ვ. კუზნეცოვი — 202,5 კგ. ატაცში გაიმარჯვა რსფსრ-ს წარმომადგენელმა ვ. დურნევმა — 160 კგ. ორჭიდში საკავშირო თასის მფლობელი გახდა კუზნეცოვი — 362,5 კგ, რომელმაც საკავშირო რეკორდი დაამყარა, პიტაძე 10 ძალოსანს შორის მეექვსე აღმოჩნდა.

82,5 კგ ათლეტებში გაიმარჯვა მაიკოპელმა ვ. ტალაევმა — 367,5 კგ, მასვე ერგო ოქროს მედალი ატაცში, აკვრაში კი ტოლი არ ჰყავდა მოსკოველ მ. აბდულმეჯიდოვს — 210 კგ. ამ წონაში ვერავინ შეძლო ი. ვარდანიანის მსოფლიო რეკორდების ხელყოფა. მისი მაჩვენებელი ორჭიდში (400 კგ) კვლავ ხელუხლებელია.

90 კგ წონის ათლეტებში, მართალია, ოლიმპიური ჩემპიონი ი. ვარდანიანი არ მონაწილეობდა, მაგრამ გამარჯვებული უფელი ზ. ხაბერიალოვის შედეგი ერთობ მოკრძალებულია—390 კგ. მან ოქროს მედალი მოიპოვა ატაცში — 180 კგ. აკვრაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. გლუხოვი — 212,5 კგ.

დვალიშვილი არ ხუმრობს ● ფიგურული ციგურაობა

სარაევოში იუნიორ ფიგურისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე სპორტულ ცეკვებში საბჭოთა სპორტსმენებმა I-II ადგილები დაიკავეს. ოქროს მედლებს დაეუფლნენ 16 წლის ტ. გლადკოვა და 18 წლის ი. შპილბანდი. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვური დუეტი ე. ნოვიკოვა და ო. ბლიახმანი.

გოგონათა შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა გდრ-ის სპორტსმენი ს. კოხი, ქართველი მოციგურავე ნელი დვალიშვილი ჯერჯერობით მეოთხე ადგილზეა.

სპორტული უკრაინის სილუეტები

კიეველი გოლიათი

სიმპათიური, გოლიათური აგებულების ანატოლი პისარენკო ულვაშებით ზაპოროჟიელ კაზაკს რომ ჰგავს, ერთის შეხედვით სუპერმძიმეწონოსან შტანგისტს კი არა, უფრო მრავალჭიდელს ან მოჭიდავეს მოგაგონებთ.

...იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის სპორტის სასახლე აღტაცებული შეხვდა ახალ ჩემპიონს — 24 წლის კიეველ სუპერმძიმეწონოსანს ანატოლი პისარენკოს. უნდა ითქვას, რომ ანატოლი ელოდა ამ გამარჯვებას, თუმცა ძალზე სერიოზული მეტოქეები ჰყავდა.

ძალოსნობის მოყვარულთათვის დინამოელი პისარენკო ჯერ კიდევ ნაკრების ახალბედა გამოუცდელ ძალოსნად რჩებოდა, მან კი გამარჯვებულმა დატოვა ლიუბლიანას ფიცარნაგი. და მაინც იგი, როგორღაც გაუბედავად, ნელ-ნელა იჭერდა ადგილს მსოფლიოს უძლიერეს ათლეტთა შორის. ნამდვილ ძალოსნად ანატოლი ცნეს მხოლოდ მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ, მაშინ, როდესაც თვით ვასილ ალექსეევისა და სულთან რახმანოვის რეკორდები გააუმჯობესა. ერთი წლის შემდეგ კიეველმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა საფრანგეთის ქალაქ ლილში, შემდეგ კი ორჭიდში ფანტასტიკური წონა — 455 კილოგრამი დაძლია და იმავე დროს მსოფლიოს უმაღლესი მიღწევაც გააუმჯობესა აკვრაში — 258 კგ. საინტერესოა, რომ ეს სიმძიმე ორჯერ აღემატება პისარენკოს საკუთარ წონას.

— სპორტს 7 წლის ასაკში ვეზიარე — გვიამბობს ა. პისარენკო — ყველაფერი ცურვით დაიწყო. მერე კალათბურთმა, მძლეოსნობამ, ტანვარჯიშმა და ჭიდაობამ გამიტაცა.

...ერთ მშვენიერ დღეს, გაკვეთილების შემდეგ ანატოლიმ ძალოსნობის დარბაზში შეიხედა და 15 წლის ასაკში არჩევანი საბოლოოდ „რკინის თამაშზე“ შეაჩერა. მისი პირველი მწვრთნელი გახდა ცნობილი კიეველი სპეციალისტი მიხეილ კემელი, რომლის ხელმძღვანელობით პისარენკო 9 წლის მანძილზე შტანგის ბევრ საიდუმლოებას ჩასწვდა და 67 კილოგრამი წონის ჭაბუკი 120 კილოგრამი წონის სუპერძალოსანი გახდა. მალე პირველი დიდი წარმატებებიც მოვიდა...

— იგი ყველაზე მსუბუქია (122 კგ., 182 სმ) სუპერძალოსნებში, მაგრამ ბევრ გოლიათს მოუგრეხს კისერს! — წერდნენ უცხოელი ჟურნალისტები.

...ძალოსნობის მოყვარულებს სურთ კიდევ უფრო დამძიმდეს ანატოლი პისარენკოს შტანგა, ახალ-ახალი რეკორდები და ოქროს მედლები მოიპოვოს კიეველმა გოლიათმა.

• • •

სურათზე: ანატოლი პისარენკო სარეკორდო ცდისთვის ემზადება.

ბ. ნაუმენკოს ფოტო.

„ოქროს გუნდი“

აი, უკვე 10 წელზე მეტია სპეციალისტები, მაყურებლები, ჟურნალისტები ერთი და იგივე კითხვას სვამენ: რაში მდგომარეობს კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდის წარმატების საიდუმლო? პასუხები სხვადასხვანაირია — რეზერვებთან ყურადღებიანი მუშაობა, მწვრთნელის მაღალი კვალიფიკაცია, მოთამაშეთა ტექნიკური მომზადება.

მართლაც, გუნდი უნიკალურია — ქვეყნის 13-გზის ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის 8-გზის მფლობელი. მისი მოთამაშეები, რომლებიც ქვეყნის ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ, ორჯერ იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

და მაინც, რაშია წარმატების საიდუმლო, ვინ არიან ეს გოგონები ხელბურთის ოლიმპოდან? როგორ ადიან მასზე და როგორ ეშვებიან მიწაზე?

ყველანი სხვადასხვანაირად. მაგალითად, გუნდის უცვლელი კაპიტანი ლიუდმილა ბობრუსი ხელბურთში მოხვდა... ქარაფშუტობის გამო. წარმოიდგინეთ: რაიონის ჩემპიონი მძლეოსნობაში, კიევის 65-ე საშუალო სკოლის სიამაყე უარს ამბობს მწვრთნელთა მაცდუნებელ წინადადებაზე გახდეს რეკორდსმენი და ამბობს: „მინდა ვივარჯიშო ხელბურთში“... „რატომ“? მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტის ამ სახეობას გოგონები არ მისდევენ. ასევე შეეძლო მას დაესახელებინა ფეხბურთი, ან უროს ტყორცნა და ეძებნა ქალაქში ეს სექციები. რას იზამ, ასეთი ხასიათი აქვს!

ზინაიდა ტურჩინა და გალინა ზახაროვა მწვრთნელმა — სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა იგორ ტურჩინმა, შეიძლება ითქვას, სავარჯიშოდ იმ მოტივით მიიტყუა, რომ ხელბურთი ძალიან ჰგავს კალათბურთს (ორივენი კალათბურთის თაყვანისმცემლები იყვნენ).

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლარისა კარლოვა კი მივიდა იმ სექციაში, რომელსაც ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ლეონიდ კოგანი ხელმძღვანელობდა. მეხუთეკლასელმა გამხდარმა გოგონამ მოურიდებლად განაცხადა: „მინდა მოვიგო ოქროს მედალი!“. მან მართლაც მოიპოვა „ოქრო“ და განა ერთხელ.

სპარტაკელებზე დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო. რად ღირს ზინაიდა ტურჩინას განუმეორებელი ტექნიკა, ან ლუბა ოდინოკოვას თავდადება, ოლგა ზუბარევას საიმედოობა, ირინა პალჩიკოვას დაუღლელობა. ყველანი სხვადასხვანაირი არიან, მაგრამ ყველას ერთი რამ — ხელბურთის დიდი სიყვარული აერთიანებს. მათი დევიზია: „გუნდი გუნდითაა ძლიერი!“.

* * *

სურათზე: შეტევაზეა კიეველი სპარტაკელი ლარისა კარლოვა.

ბ. ნაუმენკოს ფოტო.

ფეხბურთი — მე და ჩემი მეგობრები

წლევანდელი წლის 16 მაისის თბილი საღამო მისთვის ავბედითი გამოდგა. დამთავრდა მატჩი კიევის „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტს“ შორის. მეგობრის მხრებს დაყრდნობილმა ძლივს მიაღწია სასწრაფო დახმარების მანქანამდე. დიაგნოზი — მოტეხილობა...

სასწრაფო დახმარების სპეციალური ბრიგადის ექიმმა მარკ ჩუდინოვსკიმ, რომელიც უკვე 20 წელიწადია ფეხბურთელებსა და ჰოკეისტებს ემსახურება, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი დისპანსერიდან მოტანილ ბარათს: „ლეონიდ ბურიაკი. კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი. დაიბადა 1953 წლის 10 ივლისს ოდესაში. სიმაღლე — 180 სმ. წონა — 72 კგ. სპორტის დამსახურებული ოსტატი. უმაღლესი ფიზკულტურული განათლებით. 18 წელიწადია თამაშობს ფეხბურთს. 1974, 1975, 1977, 1980 და 1981 წლების სსრ კავშირის ჩემპიონი, 1974, 1978 და 1982 წლებში საკავშირო თასისა და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს სუპერთასის (1975 წელი) მფლობელი, მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი“.

საიდუმლო არ არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა თითოეული მაღალი კლასის ოსტატის სანუკვარი ოცნებაა. ის. იყო, ოცნებას ფრთები უნდა შესხმოდა, რომ... თუმცა ლეონიდი ყველაფერს აკეთებდა, რათა ჩქარა ჩამდგარიყო მწყობრში. თაბაშირი 3 კვირის შემდეგ მოუხსნეს (თვე-ნახევრის ნაცვლად). რა თქმა უნდა, ექიმები ყურადღებას არ აკლებდნენ, თანაგუნდელებიც ამხნევებდნენ. მეუღლე, წარსულში მხატვრული ტანვარჯიშის ცნობილი ოსტატი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში ჟანეტა ვასიურა არ შორდებოდა მეუღლის საწოლს. მამის ბედი აწუხებდათ ოქსანასა და ანდრეის.

სამწუხაროდ, მან მაინც ვერ შეძლო სევილიის, მალაგისა და ბარსელონის მინდვრებზე გამოსულიყო...

მაგრამ აი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ფინეთის გუნდის წინააღმდეგ მან კვლავ ჩაიცვა სსრ კავშირის ნაკრების წითელი მაისური და კვლავ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

თამაშის შემდეგ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

● **ტრავმის შემდეგ როგორ აღიდგინეთ საკუთარ თავში რწმენა?**

— ამაში დიდად დამეხმარნენ ჩემი თანაკლუბელები და ნაკრების წევრები — ვლადიმერ ბესონოვი, სერგეი ბალტაჩა, ალექსანდრე ჩივაძე. მატჩის წინ ძალიან ვღელავდი: ვაი თუ თამაში არ გამომივიდეს და გულშემატკივრები გავაწბილო-მეთქი, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

● **სავსებით განიკურნეთ?**

— არ გამახსენოთ. რომ იცოდეთ როგორ მინდოდა მეთამაშა ესპანეთში. წარმოუდგენელი ტანჯვაა იჯდე სათადარიგოთა მერხზე, გრძნობდე, რომ საჭირო ხარ მინდორზე და შენ მეგობრებს ვერ ეხმარებოდე. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ იგივე შეეძლო ეთქვა ისეთ ბრწყინვალე ოსტატს, როგორიცაა დავით ყიფიანი. ძალიან ადრე და მოულოდნელად წავიდა იგი ფეხბურთიდან. მე მუდამ ქედს ვიხრიდი მისი ფილიგრანული ტექნიკის წინაშე. მას, როგორც არავის, შეეძლო თანაგუნდელის გაყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. რას იზამ, ფეხბურთს არამარტო აპლოდისმენტები და გამარჯვებები მოაქვს, არამედ მწვანე მინდვრიდან წასვლის ჟამიც...

● **ხომ არ მოგბეზრდათ პოპულარობა? მოგწონთ ის, რომ ბევრნი ცდილობენ დაგიახლოვდნენ?**

— უკვე მივეჩვიე იმას, რომ ქუჩაში მცნობენ. პოპულარობა ძალზე დამღლელია. მაგრამ ვიცი, რომ ბევრი ახალგაზრდისათვის სამაგალითო ვარ და ეს უზარმაზარ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ფეხბურთელის სახელი, მართლაც, ბევრს გვავალებს.

ლ. მოვჩანი.

* * *

სურათზე: ლეონიდ ბურიაკი.

ა. კუშკოვის ფოტო.

სურათზე: კროსის დისტანციაზე არიან კიეველი ფიზკულტურელები.

ა. კუშკოვის ფოტო.

სოფლის სპორტკლუბი

დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონში სოფლის სპორტული კლუბის შექმნის იდეას 1973 წლის ივნისში შეესხა ფრთები. ამ საქმის თაოსნებმა ბევრი იბრძოლეს იმისათვის, რომ მიზნისთვის მიეღწიათ.

ამ გადაწყვეტილების სისწორეში ახლა არავის ეპარება ეჭვი. წინადადება: „ჯანმრთელობის ინდუსტრია“ არა მარტო ლამაზი ლოზუნგია, არამედ ზუსტად განსაზღვრავს დღევანდელი დღის მოთხოვნების არსს.

სულ მალე რაიონში შეიქმნა მძლავრი მატერიალური ბაზა. თუ 1973 წელს აქ დაახლოებით 100-მდე სავარჯიშო ბაზა იყო, ახლა მარტო ბოლო ხუთწლედში აშენდა 260 სტადიონი, სპორტდარბაზი, ფეხბურთის მინდორი, მშთ-ს ქალაქი, ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები.

სოფელ ჩკალოვის ცენტრალურ ბაზაზე ფიზკულტურელების განკარგულებაშია სპორტული კომპლექსი — სტადიონი ფეხბურთის მინდვრითა და მძლეოსნური სექტორებით; 18X36 მეტრზე ზომის სათამაშო დარბაზი, ჭიდაობის, ძალოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის სპეციალიზებული დარბაზები; 50-მეტრიანი ტირი, ველოსპორტის ბაზა, ფეხბურთის მინდორი, 250-ადგილიანი სასტუმრო, 150-ადგილიანი სასადილო, რადიოკვანძი და კინო-ფოტოლაბორატორია.

სოფელ კაპულოვკაში ახლახან ახალსახლობა იზეიმა სპორტკომპლექსმა, რომელშიც შედის ფეხბურთის ორი მინდორი, სათამაშო დარბაზი (12X24), ჭიდაობისა და ძალოსნობის სპეციალიზებული დარბაზები, მოჭადრაკეთა და მოშაშეთა კლუბი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს „კოლოსის“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც 5 წლის განმავლობაში გაიარეს გზა ფიზკულტურის კოლექტივის გუნდიდან I ლიგის ერთ-ერთ ლიდერამდე.

იზრდება და მტკიცდება „კოლოსი“ ნიკოპოლის რაიონში. ახლა მის მაგალითზე უკრაინაში შეიქმნა სოფლის სპორტკლუბები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაჩნდა ათასობით სპორტის მეგობარი, უნდა ველოდოთ ახალ რეკორდებსა და გამარჯვებებს.

გვერდი მოამზადეს სპორტულმა ჟურნალისტებმა **ა. გონჩარუკმა** („სპორტივნა გაზეტა“) და **ლ. ნოზაძემ** („ლელო“.)



ნახერხ-მოყრილი საჭიდაოს მადლი

ფიქრები სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის წინ

ალბათ გეხსომებათ, ერთმა დამსახურებულმა სპეციალისტმა საქვეყნოდ რომ განაცხადა: ტურნირმა ინტერესი დაკარგა, ტრიბუნა სანახევროდ არ ივსება და ხომ არ აჯობებს, სამერმისოდ სხვაგან ჩავატაროთო. გაბედული წინადადებაა, ღმერთმანი (კიდევ კარგი, რომ ჩვენი სპორტის სასახლე „მხოლოდ“ ათი ათას მაყურებელს იტევს, თორემ ტურნირის დღეებში ტრიბუნაზე მეტი სიხალვათე იქნებოდა და ოპონენტის არგუმენტსაც „ფასი დაედებოდა“). სადაც ობიექტურობაა, ისაც უნდა თქმულიყო, რომ საერთაშორისო ტურნირი რიგითი შეჯიბრება არ არის, არამედ თბილისთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ტრადიციაა, ჩვენი ეროვნული სპორტის ისტორიის ნაწილია. თუმცა, საყვედური მაინც მივიღეთ, ფაქტი კი ფაქტად დარჩა: ზოგიერთებს უკვე ეჭვი შეეპარათ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირის თბილისში ჩატარების მიზანშეწონილებაში. ახლა ამას ჩვენი სათქმელიც დავუმატოთ: განა ეს ამბავიც ჭიდაობის ქართული სკოლის ავტორიტეტის დაქვეითებაზე არ მეტყველებს? იქნებ სხვაგვარად დაგვეყენებინა საკითხი: მაყურებელთა აბსოლუტურ რაოდენობაზე თუ მიდგა საქმე, საეჭვოა, საბჭოთა კავშირის რომელიმე ქალაქმა თბილისს მეტოქეობა გაუწიოს. მაგრამ აქ საუბარია არა ზოგად თანაფარდობაზე, არამედ კონკრეტული ქალაქის პირობებში ჭიდაობისადმი ინტერესის შესუსტების ტენდენციაზე, რაც ასე თვალშისაცემია და სამწუხარო.

სწორედ აქედან მინდოდა დამეწყო. ჩვენში მოჭიდავეთა შეჯიბრებებს აშკარად მოაკლდა ის ძველი და გამორჩეული კოლორიტი, დიდ გამარჯვებებს დაჩვეულ გულშემატკივარს სპორტის სასახლისაკენ აღარ მიუწევს გული. ნაღდი ფალავნები შემოგველია და, იმიტომ. ჩვენებური, ქართული ჭიდაობა დავივიწყეთ და, იმიტომ. მკითხველი, ალბათ, მაპატიებს, თუ აქ ადრე არაერთხელ თქმულისა და დაწერილის გამეორება მომიწევს და ისევ და ისევ ქართული ჭიდაობის ფენომენზე, მის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე გავამახვილებ ყურადღებას. თუ ათწლეულების მანძილზე ქართული ჭიდაობის პრიორიტეტი უდაო და ხელშეუხებელი იყო, ახლა ისეთებიც გამოჩნდნენ, ვისაც საპირისპიროს მტკიცება განუზრახავს, თუმცა, კონკრეტული პიროვნება რა მოსატანია, როცა ეროვნული სპორტის საუნჯისადმი ჩვენი ბოლოდროინდელი დამოკიდებულება მთლიანად ამას ადასტურებს (ქართული ჭიდაობის რამდენი მწვრთნელი გვყავს? — ხუთი თუ ექვსი! ქართული ჭიდაობის რამდენ სპეციალისტს ამზადებს ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტი ან ტექნიკუმი? — არც ერთს! რამდენი ბავშვია ჩაბმული რეგულარულ მეცადინეობაში ქართული ჭიდაობის სექციაში? — ძალზე ცოტა!). საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართულმა ჭიდაობამ წმინდა სპორტული მნიშვნელობა თითქმის დაკარგა და ერთგვარ გასართობ სანახაობად იქცა, ეროვნული „ფოლკლორის“ ჩარჩოებში გამოიკეტა. თბილისობაზე თუ ალავერდობაზე, რასაკვირველია, „საჭიდაო“ უნდა ხმიანობდეს, მაგრამ თუ საძირკვლის გამაგრებაზე არ ვიზრუნეთ და „ადგილის დედა“ არ შევუნარჩუნეთ, ქართული ჭიდაობა დაკარგავს თავის სახესა და დანიშნულებას.

მოდით, ბოლომდე გავხსნათ ფრჩხილები. ქართულ ჭიდაობაში, როგორც სპორტის დამოუკიდებელ სახეობაში, რესპუბლიკის მასშტაბით გეგმაზომიერი, სისტემატური წვრთნა-ვარჯიში არ ტარდება! თვით სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ სისტემაშიც კი, სადაც რამდენიმე სპორტული ჯგუფია გახსნილი, ქართულმა ჭიდაობამ ვერ მოიპოვა „სუვერენიტეტი“ და სხვა სახეობებსაა „მიკედლებული“. არც იმ შეჯიბრებებმა უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რომლებიც მოვალეობის მოხდის მიზნით უფრო ეწყობა, ვიდრე ქართული ჭიდაობის აღორძინების ჭეშმარიტი სურვილით: რა თქმა უნდა, ასეთ კატეგორიულ განცხადებას საბუთიც სჭირდება: შეჯიბრებებისა და მათში მონაწილეთა რაოდენობა თანდათან კლებულობს; რესპუბლიკურ ღონისძიებებშიც კი ოთხი-ხუთი რაიონისა თუ ქალაქის წარმომადგენლები გამოდიან; რაც მთავარია, შეჯიბრებაში, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, ასპარეზობენ ჩოხაგადაცმული „კლასიკოსები“, ძიუდოისტები, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, რომლებიც ქართული ჭიდაობის ფანდების მეათედსაც ვერ ფლობენ ხეირიანად. აქა-იქ კიდევ შემოგვრჩა ფალავნები, რომლებმაც ქართული ჭიდაობის ნამდვილი სკოლა გაიარეს, მაგრამ, თუ ასე წავიდა საქმე, მომდევნო თაობისათვის ეს სკოლა, ფაქტიურად, აღარ იარსებებს. არადა, განა მტკიცება სჭირდება იმას, რომ ჩვენი მოჭიდავეების ყველა დიდ გამარჯვებას ქართული ჭიდაობის მდიდარი არსენალი უდევს საფუძვლად. საქართველოს სახელმოხვეჭილ ფალავნებს სხვებზე მეტი არც ძალა ჰქონიათ და არც გამძლეობა. მაგრამ მათ ჰქონდათ თვითმყოფადი, აშკარად გამორჩეული ხელწერა, სხვაგვარი სიმარჯვე და ოსტატობა, სხვა ცეცხლი და შემართება. ქართული ჭიდაობიდან მოდიოდა ყოველივე და ეს იყო ჩვენი უპირველესი კოზირიც. რეგბის ახლა მთელი მსოფლიო თამაშობს, მაგრამ ინგლისელები მაინც გამორჩეულნი არიან; ძიუდოც საკმაო ხანია „ინტერნაციონალური“ სახეობა გახდა, მაგრამ იაპონელებს ტოლს ვერავინ უდებს; პაკისტანი და ინდოეთი დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყნებიაო ვერ იტყვი, მაგრამ აბა ბალახის ჰოკეიში გაეჯიბროს ვინმე. ქართული ჭიდაობა, როგორც სპორტის სახეობა, მართალია, საერთაშორისო არენაზე ვერ გავიდა, მაგრამ დიდ სარბიელზე გავიდა თვით ქართველი მოჭიდავე, გავიდა კისრულითა და სარმით, მოგვერდითა და შუაკაურით. ეს და კიდევ მრავალი ათეული სხვა ფანდი, ნახერხმოყრილ საჭიდაოზე დახვეწილ-გათავისებული და ფიცხელ ორთაბრძოლებში გამოწრთობილი, — აი გზა, რომელიც ჭიდაობის ქართულმა სკოლამ გამოიარა და რომელსაც არასოდეს არ უნდა უღალატოს.

მომიტევონ პირდაპირობისათვის, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი სპორტის მუშაკი და მწვრთნელი ქართულ ჭიდაობას — რაკილა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მედლებსა და ქულებს ვერ იძლევა — რაღაც მესამეხარისხოვან დისციპლინად მიიჩნევს, აქაოდა, „მოდიდან“ გამოვიდა და ფუნქცია დაკარგა, რაც გადმოსაღები იყო, უკვე გადმოვიღეთო (წარმოიდგინეთ, ვინმეს რომ წამოცდეს: რად გვინდა ქართული ცეკვა, ან სიმღერა, მხოლოდ ის ვიცეკვოთ და ვიმღეროთ, რაც მოდაშია და უმეტეს ქვეყნებში გავრცელებულიო). მოდაზე თუ მიდგა საქმე, პირველი ადგილი კარატეს უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ კარატე ვერასოდეს აგვინაზღაურებს იმას, რასაც ქართული ჭიდაობის დაკნინებით დავკარგავთ. რასაკვირველია, კარატეც გვჭირდება და სხვა დანარჩენიც, მაგრამ გვჭირდება ქართული ჭიდაობა, ოღონდ არა ისეთი, როგორიც დღესა გვაქვს, არამედ მომძლავრებული, მთელს საქართველოში ფესვგამდგარი.

ადრეული სპეციალიზაცია სპორტულ მეცნიერებაში ახალი ტერმინი არ არის. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი კაცი იტყვის, ყველა სექცია ქართული ჭიდაობის სექციად გადავაკეთოთ და ბავშვებს მხოლოდ წმინდა ქართული ილეთები ვასწავლოთო. მაგრამ არც ისეა საქმე, ეგრეთწოდებული საერთაშორისო სახეობები დამოუკიდებლად განვავითაროთ და ამით ხეირი ვნახოთ. რესპუბლიკის უძლიერეს ფალავანთა უმრავლესობა დიდ სპორტში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა. სწორედ ქართულ ჭიდაობაზე უნდა „დავამყნოთ“ სამბოც, ძიუდოც, კლასიკურიც და თავისუფალიც. იმიტომ კი არა, რომ ქართული ჭიდაობა ყველაზე უკეთ ანვითარებს კუნთებსა და გამძლეობას (საამისოდ ათასი სხვა საშუალება არსებობს), იმიტომ, რომ ნაღდი ქართული ჭიდაობა, მისი ტემპი თუ ტემპერამენტი, ყველასაგან გამორჩეული წესი და ფანდი იძლევა იმას, რაც შეუძლებელია ჰქონდეს სხვა რესპუბლიკისა თუ ქვეყნის წარმომადგენელს.

უკან მოხედვის დრო სადა გვაქვსო — ამტკიცებდა ერთი მწვრთნელი — სპორტი წინ მიიწევს და სიახლეებს ფეხი უნდა ავუწყოთო. ეტყობა, იმ მწვრთნელს ფალავანთა კლუბთან ტოტებდამტვრეული ხეები არ შეუმჩნევია, თორემ მაღალ მატერიებზე საუბარს მოერიდებოდა. ტკაცატკუცი კი ისმის, ოღონდ ნაკვერჩხალი არა ჩანს. იმის თქმა მინდა, რომ დიდ სიმაღლეებს ვეპოტინებით, ფალავანთა კლუბში კი — ჩვენი ჭიდაობის ცენტრში — ტანვარჯიშული ღერძი არ არის, რომ სპორტსმენმა ბიცეფსი გაივარჯიშოს... ამასობაში კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს მივადექით, მკითხველო. ეს გახლავთ თანამედროვე სპორტული მოძრაობის მოთხოვნები და ჩვენი დამოკიდებულება ამ მოთხოვნებისადმი. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დაგეგმვა, კონტროლი და მართვა უაღრესად აქტუალური პრობლემაა. სამწუხაროდ, სპორტული მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ისე შორს დგას პრაქტიკასთან, რომ ჭიდაობაში დასაქმებულ მწვრთნელთა ერთი ნაწილის მუშაობა სიბნელეში ხელების ფათურს წააგავს (ამაში კი, უპირატესად, მწვრთნელებს კი არა, იმათ მიუძღვით ბრალი, ვისაც პრაქტიკოსი მწვრთნელების თეორიული სიახლეებით უზრუნველყოფა ევალებათ). ეს სიმართლეა და ყველამ უნდა გავუსწოროთ თვალი. ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის გამგემ საჯაროდ განაცხადა (მაშინ III საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგები იხილებოდა): ჩვენ რა ვქნათ, მწვრთნელები ახლოს არ გვიკარებენ, ამბობენ, ფონს უთქვენოდაც გავალთო. ამ ფრაზაში სამეცნიერო-მეთოდური ჯგუფის ავტორიტეტიცაა გამჟღავნებული და მწვრთნელების პოზიციაც. ხომ არ ხედავთ კავშირს ასეთ ურთიერთდამოკიდებულებასა და ახალგაზრდულ თამაშებზე დაკავებულ მეცხრე ადგილებს შორის?

დიდი სპორტის განვითარებას თანამედროვე მეცნიერების მიღწევები რომ განსაზღვრავს, გუშინ და გუშინწინ დადგენილი ჭეშმარიტება არ არის. ერთ კაცსაც ვერ ნახავ, ამ ჭეშმარიტებას რომ არ აღიარებდეს. მაშინ რატომ ხდება, რომ მხოლოდ ზოგადი, არაფრისმთქმელი სიტყვებით ვიფარგლებით? რატომ ვიჩენთ ასეთ მიუტევებელ გულარხეინობას და სიტყვიდან საქმეზე არ გადავდივართ? „დავნერგოთ სასწავლო-საწვრთნელი პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე“! — ეს სიტყვები ლოზუნგად ვაქციეთ, მაგრამ რა დგას ამ ლოზუნგის უკან? გვაქვს კი ისეთი მძლავრი „ლოკატორი“, რომელიც უახლეს ინფორმაციებს მიიღებს, გადაამუშავებს, ჩვენს პირობებსა და თავისებურებებს მიუსადაგებს? ცხადია, თუ სოლიდურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს არ შევქმნით და სპორტული მეცნიერების მდიდარ არსენალს ჩვენს ყოველდღიურ საქმეს არ დავამგზავრებთ, თეორია გაღმა დარჩება, პრაქტიკა კი — გამოღმა. მოთხოვნები სულ უფრო იზრდება. თანამედროვე სპეციალისტს ზედმიწევნით კარგად უნდა შეეძლოს საწვრთნო საშუალებებისა და დატვირთვების გაწონასწორება ვარჯიშის ცალკეული ეტაპებისა და მიკროციკლების საერთო ამოცანებთან. უნდა იცოდეს ათასი სხვა „წვრილმანიც“, მაგალითად, ის, რომ შეჯიბრების დროს სახის არეში მოულოდნელი სისხლდენის შესაჩერებლად დიცინონი გაცილებით ეფექტური საშუალებაა, ვიდრე, ვთქვათ, ადრენალინის 0,1-პროცენტიანი ხსნარი...

მაღალკვალიფიციური სპორტსმენის აღზრდა რთული საქმეა, უფრო რთულია იმაში გარკვევა, რასაც სპორტული მეცნიერება ჰქვია. ალბათ შეუძლებელია მწვრთნელი ყველა ნიუანსში გათვითცნობიერებული იყოს. მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია ძირითად საკითხებში საფუძვლიანი გარკვევა, რომ [illegible] მაგისტრალურ ხაზს არ [illegible], როგორც პიროვნებისა და სპორტსმენის ჩამოყალიბების პროცესი არ დაამახინჯო. ავტორიტეტის შეძენას წლები სჭირდება, დაკარგვით კი შეიძლება ერთ დღეში დაკარგო. ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ოცზე მეტი ჩვენი მოჭიდავე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ „გადაბარგდა“. ბინა და მანქანა რომ მიგვეცა, ინსტიტუტშიც რომ მოგვეწყო, დარჩებოდნენ, მაგრამ მწვრთნელს რომ პატრიოტებად, კაცებად აღეზარდა, მაშინაც დარჩებოდნენ. აი, სად არის საჭირო ავტორიტეტი, სიყვარულით „მოწამვლის“ ხელოვნება, ნახერხმოყრილი საჭიდაოს მადლი.

... საკმაო ხანია ჭიდაობაზე და მოჭიდავეებზე ვწერ. ყოველთვის მხიბლავდა ის რაინდული, ვაჟკაცური დამოკიდებულება, მწვრთნელებისა და სპორტსმენების ურთიერთობაში რომ შეიმჩნეოდა. სამწუხაროდ, ბოლო დროს ამ დამოკიდებულებასაც ბზარი გაუჩნდა; მავანმა და მავანმა საერთო საქმეს პირადი ინტერესები დაუპირისპირა და პოზიციების განსამტკიცებლად ზოგჯერ აკრძალულ „ილეთებსაც“ არ ერიდება. კრიტიკა არავის არ სიამოვნებს, მაგრამ „ვინც რომ ძრახვას ჰთაკილობდეს, ნურასა იქმს საძრახავსა“.

ჩვენს სპორტს, ჩვენს ჭიდაობას ახლა, როგორც არასოდეს, სჭირდება საქმის ერთგული, თავდადებული ადამიანები, დიდი სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში შესაძლებლობის მაქსიმუმს რომ გააკეთებენ და ჭიდაობის ქართულ სკოლას ძველისძველ ავტორიტეტს შეუნარჩუნებენ. ჩვენს ფალავნებს (კლასიკოსებსაც, ძიუდოისტებსაც და სამბისტებსაც) აქვთ საამისო ძალა და გამოცდილება, რომ სპარტაკიადაზე თქვან თავიანთი სიტყვა. ოღონდ საჭიროა ეს ძალა შეიკრას და გაერთიანდეს, მთავარ მიზანს დაუქვემდებარდეს. ამ თვალსაზრისით ახალგაზრდულმა თამაშებმა კარგი გაკვეთილი მოგვცა. გახსოვთ, ალბათ, სამბისტთა გუნდში ოთხი ძიუდოისტი რომ შეიყვანეს და როცა ამან შედეგი ვერ გამოიღო, სამბოს მწვრთნელებმა სწორედ ამ ძიუდოისტებზე „გადატეხეს ჯოხი“. სხვათა შორის, ძიუდოისტთა ნაკრების ხელმძღვანელებიც იგივეს ამტკიცებენ — ჩვენი ბიჭები რომ გვყოლოდა, უკეთესად გამოვიდოდითო. თავისთავად გასაკვირი არაფერია იმაში, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ ძალების ერთგვარი გადაჯგუფება მოხდეს, მაგრამ ამგვარ ოპერაციებს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის საერთო ინტერესები უნდა განაპირობებდეს. და თუ ასე იყო, მაშინ რატომ იქცა ის ამბავი თავის გასამართლებელ „არგუმენტად“?

ფაქტია: სპარტაკიადისწინა სატურნირო მდგომარეობა (მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისა და III საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგებს ვგულისხმობ) საქართველოს სპორტული დელეგაციისათვის აშკარად არასახარბიელოა. და ახლა ჩვენი იმედები, გასაგები მიზეზების გამო, პირველ ყოვლისა, ჭიდაობასა და მოჭიდავეებს უკავშირდება. სწორედ მოჭიდავეებმა უნდა აანაზღაურონ (ნაწილობრივ მაინც) ის, რასაც ვერ შეძლებენ ჩვენი მძლეოსნები, მოცურავეები, ტანმოვარჯიშეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიდრე სასპარტაკიადო ტაბლოზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ტრადიციებისთვის წილხვედრ ადგილს დავიბრუნებდეთ, მანამდე „ბარე ოცი მუხა გახმეს აჯამეთის ტყეში“.

ელგუჯა ბერიშვილი.

კარგი ინიციატივა

საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თაოსნობით ახალქალაქში გაიმართა ფიზკულტურის მასწავლებელთა კურსები, რომელმაც შეკრიბა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების პედაგოგები — სულ 50 მსმენელი.

მასწავლებლები გაეცნენ მხატვრულ ფოტოგამოფენას, მიძღვნილს ახალქალაქის რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიისადმი, რომელიც 1922 წლიდან იწყება. ექსპოზიცია სპორტის სხვადასხვა სახეობებისა და განვითარების ეტაპების მიხედვით მოგვითხრობს რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული ენთუზიასტების — გ. იოსებაშვილის, მ. ოჰანესიანისა და რაიონის სხვა საუკეთესო სპორტსმენების — აზავრეთელი მოჭიდავის ბ. ფაშაიანის, ალასტანელი სამბისტის ხ. მედოიანის, ძალოსან ა. ბაგრატუნიანისა და გ. ჩაჩოიანის შესახებ.

გამოფენა სპორტსმენთა ინტერნაციონალური მეგობრობის საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენს. აკი ამიტომაც გამოფენის დამთვალიერებლები შთაბეჭდილებების წიგნში მადლობას უძღვნიან მის ორგანიზატორებს.

ა. ოვანოღლიანი,
ახალქალაქის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

● ჭადრაკი

წარმატებები და რეზერვები

17 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პლენუმი.

შეკრების მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ჩვენს ქვეყანაში შესამჩნევად მომრავლდნენ მოჭადრაკეები. შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა, რომელიც ბოლო ორ წელიწადში 400 ათასით გაიზარდა, ახლა 4 მილიონს აღწევს. ამ ხნის მანძილზე 11-მა მოჭადრაკემ საერთაშორისო დიდოსტატის, ხოლო 70-მა — სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. ამჟამად სსრ კავშირში არის 90 დიდოსტატი, 135 საერთაშორისო ოსტატი და 850 სპორტის ოსტატი.

საბჭოთა მოჭადრაკეები მტკიცედ დგანან ლიდერის პოზიციაზე მსოფლიოში. პირად და გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების 17 ტიტულიდან 14-ს ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეები ფლობენ. ა. კარპოვმა მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, მ. ჩიბურდანიძემ შეინარჩუნა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი.

წლეულს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მეთოთხმეტედ, ქალთა გუნდმა — მეცხრედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედლები.

ბოლო ორ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში გაიხსნა დაახლოებით 250 საჭადრაკო კლუბი, მკვეთრად გაიზარდა მასობრივი ტურნირების, ფესტივალებისა და დაუსწრებელი შეჯიბრების რაოდენობა. მათგან გამოირჩევა პროფკავშირების საკავშირო მასობრივი ტურნირი, რომლის პირველმა ეტაპმა თითქმის ორ მილიონ მოჭადრაკეს მოუყარა თავი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საჭადრაკო ლიტერატურის გამოცემა: 1980 წლიდან დაისტამბა 80-მდე წიგნი, 6 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით.

მიუხედავად ამისა, პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საჭადრაკო მუშაობა. დაასახელეს რეზერვის არსებობის ასეთი მაგალითი: 500 ათასი ფიზკულტურული კოლექტივიდან ჭადრაკი მხოლოდ 167 ათასშია დანერგილი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობის მასობრიობას, მოწინავე მოჭადრაკეების სპორტულ-შემოქმედებით წინსვლას და დიდოსტატთა ახალი თაობის აღზრდას.

ფედერაციამ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი **ვ. სევასტიანოვი.**



ნ. იოსელიანის ორი გამარჯვება

ტალინი, 18 დეკემბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ქალთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ 9 ტურში გადადებული 15 პარტიის დამთავრების დღეს ორი გამარჯვება იზეიმა სსრ კავშირის ჩემპიონმა იოსელიანმა, რომელმაც დაამარცხა წერეთელი და კულიკოვა. კიდევ ორ პარტიაში განაახლა თამაში წერეთელმა. მან თავი ვერ დააღწია სიძნელეებს და დამარცხდა ჩელუშკინასა და ტიტორენკოსთან. კულიკოვასაც ხელი მოეცარა მეორე გადადებულ პარტიაში (კოზლოვსკაიასთან).

ამ დღეს არახამიამ მოუგო ჩეხოვას, ზაიცევამ—ხუგაშვილს, ლიტინსკაიამ — ეპშტეინსა და მინოგინამ — ჩელუშკინას.

ყაიმზე შეთანხმდნენ გურიელი — მინოგინა, ტიტორენკო — პიარნპუუ, ზაიცევა — ლიტინსკაია, ხუგაშვილი — ლიტინსკაია და ეპშტეინი — პიარნპუუ.

დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ეპშტეინ — ჩეხოვას პარტია.

ხუთშაბათს გაიმართა X ტურის შეხვედრები. კვლავ წარუმატებლად ითამაშა წერეთელმა, რომელიც ამჯერად ეპშტეინთან დამარცხდა, წააგეს ჩეხოვამ (ლიტინსკაიასთან) და კოზლოვსკაიამ (ახმარუმოვასთან), დაზავდნენ ტიტორენკო — ფათალიბეკოვა. ხუთი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. იოსელიანი — 6,5 (1), ა. ახმარუმოვა (მოსკოვი) — 6,5, ე. ეპშტეინი (კლაიპედა) — 6 (1), მ. ლიტინსკაია (ლვოვი) — 6, ე. ფათალიბეკოვა (მოსკოვი) — 5,5, ნ. გურიელი — 5 (1).

გ. მაჭავარიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

დილითაც, საღამოსაც...

თელავი, 18 დეკემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). გუშინ დილით 50-ე საკავშირო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მონაწილეებმა ორი გადადებული პარტია დაამთავრეს (აგზამოვმა მოუგო გურგენიძეს, ხოლო ანიკაევი და იუდასინი ყაიმზე შეთანხმდნენ), საღამოს კი XII ტურის შეხვედრები გამართეს.

ზაიჩიკმა მოუგო გურგენიძეს, ლპუტიანმა — ბაგიროვს. ქულა გაიყვეს აგზამოვმა და ჩეხოვმა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ვაჰანიანს ზედმეტი პაიკი აქვს იუდასინთან, უბილავას — ერმოლინსკისთან.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ რ. ვაჰანიანი (ერევანი) — 8 (1), გ. ზაიჩიკი (თბილისი) — 7,5 (2), ვ. ჩეხოვი (მოსკოვი) — 7, ლ. იუდასინი (ლენინგრადი) — 6,5 (1), ე. უბილავა (თბილისი), ა. შნეიდერი (ლვოვი) — 6-6 (3-3).

• • •

სურათზე: თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მიმდინარეობს 50-ე საკავშირო ჩემპიონატის (I ლიგა) მორიგი ტური.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

ურიბეს იმედები გაუცრუვდა

ცნობილი პერუელი ფეხბურთელი ურიბე მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დიდი ამბით ჩაიყვანეს იტალიაში, სადაც პირველი ლიგის კლუბ „კალიარიში“ დაიწყო თამაში. ამ ქვეყნის ფეხბურთისგან ურიბე, როგორც თვითონ განაცხადა, ბევრს მოელოდა, ახლა კი ერთობ იმედგაცრუებულია. მისი აზრით, იტალიაში გამეფებულია „ფრთაშეკვეცილი დაცვითი ფეხბურთი“, რაც „კალიარისაც“ ეხება. გარდა ამისა, იტალიელი მოთამაშეები ძალიან ცუდად შეხვდნენ უცხოელს. აი, მისი სიტყვები: „გაძვაცემების ნაცვლად, რომელსაც ამაოდ ველი, წამდაუწუმ გაისმის დაცინვა და შეურაცხმყოფელი რეპლიკები“.

ყველა პრიზი — „სპორტინგს“

ლისაბონის „სპორტინგის“ ფეხბურთელებმა 1981-82 წლებში პორტუგალიის ჩემპიონობაც მოიპოვეს და თასიც. ამ ქვეყანაში სუპერთასიც თამაშდება, ამიტომ „სპორტინგის“ წინააღმდეგ სუპერთასზე გამოვიდა პორტუგალიის თასის ფინალისტი „ბრაგა“. დებულების თანახმად გაიმართა 2 მატჩი.

პირველი შეხვედრა საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:1 მოიგო „ბრაგამ“, ლისაბონში კი „სპორტინგს“ დიდი უპირატესობა ჰქონდა, გამარჯვებაც მას დარჩა — 6:1. ამრიგად, „სპორტინგმა“ პორტუგალიის სუპერთასიც მოიპოვა.

ალბერტოზი მინდორს დაუბრუნდა

სამწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, რაც გახმაურებულ სკანდალთან იყო დაკავშირებული, ფეხბურთს დაუბრუნდა იტალიის ნაკრების ყოფილი მეკარე ალბერტოზი (1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი). იგი თამაშობს „მილანში“, რომელიც ახლა მეორე ლიგაში გამოდის.

გაუმაძღარი „იუვენტუსი“

ტურინის „იუვენტუსი“, რომელიც ავტოკონცერნ „ფიატის“ საკუთრებაა, იტალიაშიც და მსოფლიოშიც ერთერთი უმდიდრესი კლუბია. აქ თამაშობენ პლატინი (საფრანგეთი) და ბონეკი (პოლონეთი), მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა ვერ იქნა და ვერ „გაძღა“.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ „იუვენტუსის“ ემისრები მოლაპარაკებას აწარმოებენ ბრაზილიურ კლუბ „ატლეტიკო მინეიროსთან“ ეროვნული ნაკრების ცნობილი თავდამსხმელის ედერის თაობაზე. იტალიელები ძალზე მოწადინებული არიან ხელთ იგდონ ეს ფეხბურთელი.

თასი—ალმაათელ წყალბურთელებს

მოსკოვის ოლიმპიურ საცურაო აუზში დამთავრდა სსრ კავშირის წყალბურთელთა თასის გათამაშების ფინალური შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (სსფ ცსკ), მოსკოვის „უნივერსიტეტის“, „დინამოსა“ და ალმა-ათის „დინამოს“ გუნდები.

თასისთვის ბრძოლა მეტად საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველ დღეს მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — სსფ ცსკ 12:11, „დინამო“ (ალმა-ათა) — „უნივერსიტეტი“— 13:12. მეორე დღეს ერთნაირი ანგარიშით — 9:8 გაიმარჯვეს მეზღვაურებმა და სტუდენტებმა.

ამრიგად, დასკვნითი შეხვედრების წინ ყველა გუნდს ერთნაირი შანსები ჰქონდათ საპატიო თასის მოსაპოვებლად. თითოეულ კოლექტივს 2-2 ქულა აღმოაჩნდა, ამასთან, გაშვებული და მიღებული ბურთების სხვაობაც თანაბარი იყო.

ასპარეზობის ბოლო დღეს სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონებმა— ალმა-ათის დინამოელებმა სძლიეს მოსკოველ თანაკლუბელებს — 8:6, ხოლო სსფ ცსკ-სა და „უნივერსიტეტის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ —8:8.

ამრიგად, სსრ კავშირის თასი წილად ხვდათ ალმა-ათის დინამოელებს.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყვნენ ი. ბაიუნოვი და ნ. მედიგალიევი, რომლებმაც მეტოქის კარში 3-3 ბურთი გაიტანეს. მოსკოველთაგან გ. მშვენიერაძემ 2 ბურთი გაიტანა.

შარშანდელ სათასო შეხვედრებში გამარჯვებული სსფ ცსკ-ს გუნდი შეჯიბრებაში გადაღლილი ჩაება. ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც ცნობილია, მან მოიპოვა ჯერ ევროპის თასების მფლობელთა თასი, შემდეგ — სუპერთასიც. მეზღვაურებმა, როგორც იტყვიან, ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს, რომ საკავშირო თასის გათამაშების ფინალში ჩაებნენ.

◆

მეტოქეები ცნობილია

ბაზელში შედგა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იგფ) წილისყრა, რომელმაც დაასახელა საბჭოთა გუნდების მეტოქეები. ევროპულ ტურნირებში. ჩემპიონთა თასზე ცსკა-ს მეტოქეა გდრ-ის „მაგდებურგი“, თასების მფლობელთა თასზე მინსკის ასკ — შეხვდება გფრ-ის „გროსვალშტადტს“, ხოლო იგფ-ს თასზე ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი ითამაშებს უნგრეთის „ბანიასთან“. პირველ მატჩებს მოსკოველები და ზაპოროჟიელები თავიანთ მოედნებზე 1983 წლის 3-დან 9 იანვრამდე გამართავენ, საპასუხო შეხვედრები კი 10-დან 16 იანვრამდე გაიმართება.

◆

ღია ჩემპიონატზე

პარიზში, მაგიდის ჩოგბურთელთა ქვეყნის ღია ჩემპიონატზე გაიმარჯვეს სტუმრებმა. ქალთა გუნდური ჩემპიონატის ფინალში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სძლიეს სსრ კავშირის ჩოგბურთელებს 3:0. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ჩინელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს შვედები.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 51-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 11 (ფრენბურთი), 12 (ტანვარჯიში), 17 (ციგურაობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (აკრობატიკა), 45 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

ავსტრიაში, ყინვარ რეტენბახის ფერდობზე მასობრიობის თვალსაზრისით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამთომოთხილამურეების ჯგუფმა. ხელიხელჩაკიდებულმა 81-მა კაცმა თავბრუდამხვევი აკრობატული მალაყი შეასრულა.

ხაკელის ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

28 დეკემბერს მძლეოსნობის მანეჟის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება ნსს „ზენიტის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი.

დასაწყისი 12 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 99-56-14, 98-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 98-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 98-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 98-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდის —98-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-58; ჭადრაკის — 98-97-26; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამომშვები —98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-58; მემანქანეები — 98-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 00570